**<u>დანართი N1</u>**

**გზამკვლევი**

**ა(ა)იპ სასწავლო აღმზრდელობითი და ზოგადსაგანმანათლებლო სამეცნიერო ცენტრ „ეტალონში“ ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებით**

## 1. სკოლის შენობაში გადაადგილების წესი:

- სკოლის შენობაში შესვლა მასწავლებლების, თანამშრომლებისა და ვიზიტორებისთვის დასაშვებია მხოლოდ პირბადით, ხოლო საჭიროების შემთხვევაში სხვა ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით - დამცავი ფარი/დამცავი სათვალეები, ბახილები, ხალათები;
- პირები, რომლებიც ატარებენ თერმოსკრინინგს, ვალდებული არიან ეკეთოთ პირბადე და იცავდნენ 1 მეტრიან დისტანციას;
- თერმოსკრინინგისას ცხელების - 37$^{0}$C ან 37$^{0}$C -ზე მეტი ტემპერატურის დაფიქსირების შემთხვევაში, პირი ექვემდებარება მოსაცდელ სივრცეში გადაყვანას და ტემპერატურის გადამოწმებას ვერცხლისწყლის თერმომეტრით 15 წუთიან შუალედში.

## 2. ზოგადი შიდასასკოლო რეგულაციები:

- სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული პირი (შემდგომში სკოლის ექიმი), ვალდებულია ვერცხლისწყლის თერმომეტრი დაამუშაოს სადეზინფექციო ხსნარით ყოველი გამოყენების შემდეგ;
- სიცხის გადამოწმების შემდეგ 37$^{0}$C ან 37$^{0}$C -ზე მეტი ტემპერატურის დადასტურების შემთხვევაში ნებისმიერი პირი (გარდა მოსწავლისა, რომელიც დამოუკიდებლად მოვიდა სკოლაში) არ დაიშვება სკოლაში და ვალდებულია მიმართოს ოჯახის ექიმს;
- სკოლაში დამოუკიდებლად მოსული მოსწავლე, რომელსაც სიცხის გადამოწმების შემდეგ დაუდასტურდება 37$^{0}$C ან 37$^{0}$C -ზე მეტი ტემპერატურა, სკოლის დირექტორის მიერ ბრძანებით განსაზღვრული პასუხისმგებელი პირის მეთვალყურეობით უნდა განთავსდეს სპეციალურად გამოყოფილ საიზოლაციო ოთახში. მეთვალყურეობაზე განსაზღვრული პირი ვალდებულია მოსწავლეს მოარგოს პირბადე და დაუყოვნებლივ დაუკავშირდეს მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს, რომელიც ვალდებულია მოსწავლის სკოლიდან დროულად გაყვანაზე;
- მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის გონივრულ ვადაში სკოლაში გამოუცხადებლობის შემთხვევაში, სკოლა უკავშირდება 112-ს შესაბამისი სამედიცინო სერვისის მისაღებად, გადამისამართების მიზნით;
- საიზოლაციო ოთახში მყოფ მოსწავლეებს შორის დაცული უნდა იყოს 1 მეტრიანი დისტანცია . მთელი ამ დროის განმავლობაში მოსწავლეებთან რჩება მეთვლყურე.
- დაფიქსირებული ცხელება სკოლის ექიმის/კლასის დამრიგებლის მიერ აღირიცხება სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებულ აღრიცხვის ფორმაში;
- დღის განმავლობაში სკოლის შენობაში მყოფი ნებისმიერი პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში, პასუხისმგებელი პირი გადაამოწმებს ტემპერატურას და იმოქმედებს დადგენილი ნორმის შესაბამისად;

- დაუშვებელია რესპირატორული ინფექციისთვის დამახასიათებელი სიმპტომების მქონე (ხველა, ცემინება, სურდო, სუნთქვის გაძნელება, საერთო სისუსტე და ა.შ.) პირების (მასწავლებლების, თანამშრომლებისა და მოსწავლეების) დაშვება დაწესებულების შენობაში;
- რესპირატორული სიმპტომების (ხველა, ცემინება, სურდო, სუნთქვის გაძნელება, საერთო სისუსტე და ა.შ.), ან ცხელების სასწავლო პროცესის დროს გამოვლენის შემთხვევაში, მოსწავლე (პირბადით) დროებით გადაყვანილი უნდა იყოს საიზოლაციო ოთახში კანონიერი წარმომადგენლის მოკითხვამდე; მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის გონივრულ ვადაში გამოუცხადებლობის შემთხვევაში, სკოლა ვალდებულია დაუკავშირდეს 112-ს შესაბამისი სამედიცინო სერვისის მისაღებად გადამისამართების მიზნით.

**3. მოსწავლეების ვალდებულებები:**

**ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებით თითოეული მოსწავლე ვალდებულია შეასრულოს შემდეგი:**

- დაიცავით ჰიგიენის წესები;
- დაიცავით სასწავლო დაწესებულების მიერ დადგენილი წესები;
- დაიმუშავეთ ხელები სადეზინფექციო ხსნარით იმ შემთხვევაში, როცა ვერ ხერხდება ხელების დაბანა თხევადი საპნით და ერთჯერადი ხელსახოცით გაშრობა;
- დაიბანეთ ხელები წყლითა და საპნით ხილული დაბინძურების შემთხვევაში ან ბიოლოგიური სითხეების მოხვედრისას;
- დახველებისა და დაცემინების დროს მიიფარეთ სუფთა ხელსახოცი (რომელიც ერთჯერადი გამოყენების შემდეგ ექვემდებარება გადაგდებას) ან მოხრილი იდაყვი;
- მოერიდეთ ხელებით თვალებზე, ცხვირსა და პირზე შეხებას;
- სწავლების პერიოდში უზრუნველყავით თმის შეკვრა/მჭიდროდ დამაგრება, რათა მაქსიმალურად შეიზღუდოს თმების სახის ზედაპირთან შეხება;
- არ გამოიყენოთ სხვისი ნივთები;
- ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში მიმართეთ პასუხისმგებელი პირს.
- 

**4. მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ვალდებულებები**:

**ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებით სკოლის ყველა მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი ვალდებულია შეასრულოს შემდეგი:**

- ცხელების/რესპირატორული დაავადების შემთხვევაში არ გაუშვათ მოსწავლე სკოლაში;
- ცხელების/რესპირატორული დაავადების სიმპტომების გამოვლენის შემთხვევაში დროულად გაიყვანეთ მოსწავლე სკოლიდან და უზრუნველყავით ბავშვის მიმართვა ოჯახის ექიმთან, ან ცხელების ცენტრში, შესაბამისი სამედიცინო მომსახურების მისაღებად და PCR -ტესტირების ჩასატარებლად;

- სახლის პირობებში ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში შეატყობინეთ კლასის დამრიგებელს;
- ცხელების ან სხვა რესპირატორული დაავადების სიმპტომების გამოვლენისას უზრუნველყავით ბავშვის მიმართვა ოჯახის ექიმთან, ან ცხელების ცენტრში, შესაბამისი სამედიცინო მომსახურების მისაღებად და PCR -ტესტირების ჩასატარებლად.

**5. სკოლის დირექციის ვალდებულებები**
**ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებით სკოლის დირექცია/ ადმინისტრაცია:**

- ვალდებულია უზრუნველყოს სკოლის აღჭურვა ყველა ტიპის სადეზინფექციო ხსნარებით;
- ვალდებულია უზრუნველყოს ხელების სადეზინფექციო ხსნარის განთავსდება სკოლის შემოსასვლელებში, ყველა სართულის დერეფანში, სამასწავლებლოში, ადმინისტრაციის ოთახში, საპირფარეშოში და ყველა ოთახში, რომელსაც იყენებენ მოსწავლეები, მასწავლებლები და სკოლაში დასაქმებული ან/და სკოლის ტერიტორიაზე მყოფი პირები;
- სკოლის დირექტორი ვალდებულია ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით განსაზღვროს თერმოსკრინინგზე, მონაცემების აღრიცხვაზე, **სადეზინფექციო საშუალებების მარაგების შენახვა/დასაწყობება/გაცემაზე,** საიზოლაციო ოთახის ზედამხედველობაზე და ნაკადების მართვაზე პასუხისმგებელი პირები;
- ვალდებულია უზრუნველყოს ზედაპირის სადეზინფექციო ხსნარების შენახვა რომელიც უნდა იყოს განთავსებული საკლასო ოთახებში, ბავშვებისთვის მიუწვდომელ ადგილას. მსგავსი ხსნარებით დამუშავდება ყველა ზედაპირი რომელსაც ეხება მოსწავლე,
- უზრუნველყოფს სკოლის აღჭურვას შესაბამისად (პირბადეების შესაბამისი მარაგი, თხევადი საპონი, ხელსახოცი ქაღალდი და ა.შ);
- უზრუნველყოფს ჰიგიენის ნორმების დაცვას და მის მონიტორინგს სკოლის მთელ ტერიტორიაზე;
- უზრუნველყოფს სკოლებში საინფორმაციო შეხვედრების ჩატარებას ხელის ჰიგიენის საკითხებზე. ამყარებს უწყვეტ საინფორმაციო კომუნიკაციას ხელის ჰიგიენის მნიშვნელობის შეხსენების შესახებ COVID-19 ვირუსის გავრცელების თავიდან ასაცილებლად;
- აწვდის ინფორმაციას მასწავლებლებს, თანამშრომლებსა და მოსწავლეებს SARS-COV2 ვირუსთან დაკავშირებული პრევენციული ღონისძიებების შესახებ (თვალსაჩინო ადგილას განათავსებს ხელის ჰიგიენის, პირბადის ტარების, ხველის ეტიკეტისა და სხვა შემახსენებლებს);
- ატარებს შეხვედრებს მასწავლებლებთან, მშობლებთან მაქსიმალურად დისტანციური სერვისების გამოყენებით.
- უზრუნველყოფს შემდეგს: სკოლაში ცხელების, რესპირატორული სიმპტომების დაფიქსირების ყველა შემთხვევის შემდგომ მოსწავლეების, მასწავლებლებისა და თანამშრომლების სასწავლო დაწესებულებაში დაშვება ხდება PCR ტესტირების დასკვნის საფუძველზე (COVID-19 -ით ინფიცირების არ არსებობის შემთხვევაში);
- უზრუნველყოფს ჰიგიენის, პირბადის ტარების, ხველის ეტიკეტისა და სხვა შემახსენებლების განთავსებას სკოლის შენობაში ყველა სტრატეგიულ ადგილას.

- მოსწავლის/თანამშრომლის COVID-19-ით ინფიცირების დადასტურების შემთხვევაში უზრუნველყოფს ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარებას. ამასთან კონტაქტების მოძიებისა და კარანტინის/თვითიზოლაციის თაობაზე გადაწყვეტილებებს იღებს საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახურების რეკომენდაციების შესაბამისად.
- სკოლის დირექტორი ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით ამტკიცებს დაკვირვების ფორმებს, რომლიც წარმოადგენს ინსტრუმენტს სკოლაში პროცესების მონიტორინგისთვის;
- ვალდებულია აღრიცხოს მარაგები, უზრუნველყოს მათი დროული განთავსება სკოლის შენობის სხვადასხვა/შესაბამის სივრცეებში, დროულად აღმოფხვრას წარმოქმნილი დანაკლისი.

**6. მასწავლებლები**

- საგაკვეთილო პროცესის დროს მასწავლებელი ვალდებულია ეკეთოს პირბადე იმ შემთხვევაში, თუ მაგიდები განლაგებულია იმგვარად, რომ მასსა და მოსწავლეებს შორის შეუძლებელია 2 მეტრიანი დისტანციის დაცვა;
- სკოლის საერთო სარგებლობის სივრცეებში (მათ შორის, დერეფანი, კიბის უჯრედი, სამასწავლებლო და ა.შ.) ყოფნისა და გადაადგილებისას ყველა პირს (გარდა მოსწავლეებისა) უნდა ეკეთოს პირბადე, მათ შორის დასვენებების პერიოდში.